ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი მოთხოვნის საფუძველზე (07.10.2017 №10/9705) წარმოგიდგენთ 2017 წლის 1 იანვრიდან დღემდე ანგარიშს.

დანართი: (1 ფურცელი)

ქ. თბილისის საკრებულოს წევრი ქ. ... მანუჩარ მაჩაიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 2 ფურცელი
№10/9705 25.09.17წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის მანუჩარ მაჩაიძის

2017 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის წევრი.

2017 წლის 1 იანვრიდან დღემდე დავესწარი საკრებულოს 16 სხდომას, სადაც ჩემი მონაწილეობით მიღებულ იქნა 351 განკარგულება და 64 დადგენილება.

ამავე პერიოდში დავესწარი იურიდიულ საკითხთა კომისიის 18 სხდომას სადაც განვიხილეთ 65 საკითხი.

აგრეთვე დავესწარი საკრებულოს ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 6 სხდომას, რომელშიც მონაწილეობა მივიღე 7 საკითხის განხილვაში.

საკრებულოში ჩემს სახელზე დღემდე შემსულია ამომრჩევლთა 6 წერილი, სადაც ითხოვდნენ სხვადასხვა სახის დახმარებას, შემლებისდაგვარად ყველას მოვუგვარე პრობლემა.

მივიღე მონაწილეობა პროექტების განხილვაში: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13 – 14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“. და მრავალი სხვა საკითხის განხილვაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი მანუჩარ მაჩაიძე